საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№107/17 „29“ დეკემბერი 2017 წ.

შ.პ.ს. ,,მოდული’’-ს დირექტორს
ბატონ ირაკლი ნარმანიას.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №2-12-ში მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის შენობების გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ჩაჩავას ქუჩა №2-12-ში შ.პ.ს. „მოდული“ ახორციელებს მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას. დღეის მდგომარეობით ძირითადად აგებულია კომპლექსის ორი ორ სართულიანი და ერთი სამ სართულიანი ბლოკები.

მშენებარე კომპლექსის ტერიტორიას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ერთსართულიანი შენობები, რომელთაგან მშენებარე ბლოკთან ყველაზე ახლოს მდებარე ნაგებობამდე მანძილი 20 მ.-ია. აღმოსავლეთის მხრიდან მომიჯნავე ერთ და ორ სართულიან შენობებამდე მინიმალური დაშორება 24 მ.-ია; რაც შეეხება სამხრეთის მხარეს მდებარე შენობას, მისი დაშორების მანძილია 5 მ.

შ.პ.ს. „მონოლითი“ აღნიშნული საკითხის შესახებ გაცნობებთ, რომ მშენებარე კომპლექსი არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არსებული მომიჯნავე შენობებისათვის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com

საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№108/17 „29“ დეკემბერი 2017 წ.

შ.პ.ს. ,,მოდული’’-ს დირექტორს
ბატონ ირაკლი ნარმანიას.

საექსპერტო დასკვნა ქალაქ თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №2-12-ში მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესახებ.

ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ჩაჩავას ქუჩა №2-12-ში მშენებარე მრავალფუნქციური, მრავალსართულიანი კომპლექსი კონსტრუქციულად მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვანია. შენობის საძირკვლად გამოყენებულია 150 სმ. სისქის რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა. არსებული მდგომარეობით აშენებულია კომპლექსის ორი ორ სართულიანი და ერთი სამ სართულიანი ბლოკები.

ექსპერტიზისათვის გადმოცემულია ქალაქ თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, მრავალსართულიანი, მრავალფუნქციული კომპლექსის კორექტირებული პროექტი.

გადმოცემულია შემდეგი მასალა:

- პროექტის არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებული შ.პ.ს. „მოდული“-ს მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა „ArchiCad”-ის გამოყენებით. (ელექტრონული ვერსია).
- პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, დამუშავებული შ.პ.ს. „მოდული“-ს მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა „AutoCAD”-ის გამოყენებით A-3 ტიპის ფურცლებზე. (დაბეჭდილი ალბომი).

დასკვნა:

საპროექტო ორგანიზაცია შ.პ.ს. „მოდული“-ს მიერ დამუშავებული კონსტრუქციული ნაწილი სრულ შესაბამისობაშია არქიტექტურული ნაწილის კორექტირებულ პროექტთან. ჩატარებულია დიდი მოცულობის სამუშაოები. პროექტი გაანგარიშებულია და შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით. გრაფიკული მასალა მდიდარია და იძლევა საშუალებას მაღალხარისხოვანი მშენებლობის წარმოებისათვის.

შ.პ.ს. ”მონოლითი”- დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com